შ.პ.ს "ლიმმა"

მისამართი: ქ. თბილისი ტოლსტოის ქ. #11 საიდენტიფიკაციო კოდი: 204566228

ტელ: 5 77-10-14-14

№ 17/1-1 03.11.2014წ

განმარტებითი ბარათი საავადმყოფოს არსებულ შენობაზე სათათბირო ოთახის დაშენებასთან მიმართებაში

წინამდებარე პროექტით არსებული ექვს სართულიან საავადმყოფოს შენობის სახურავზე კეთდება სათათბირო სათავსოს დაშენებას. დაშენება უნდა განხორციელდეს ლითონის მსუბუქი კონსტრუქციით, რომელიც შედგება ლითონის კოლონებისა და კოჭებისაგან. ლითონის კოლონების სამონტაჟოდ საჭიროა შენობის არსებულ პარაპეტზე მოხდეს ბუდეების ამოღება და ანკერების ჩაბეტონება. ამის შემდეგ ხდება ლითონის კოლონების მონტაჟი.

წინამდებარე პროექტით არსებულ შენობაზე გათვალისწინებულია სართულის დაშენება მსუბუქი ლითონის კონსტრუქციით, რომელიც შედგება კოლონების და კოჭებისაგან. კონსტრუქციის ლითონის ელემენტები ერთმანეთს უკავშირდება ელ. შედუღებით.

ჩვენს მიერ დათვალიერებულ და ვიზუალურად შესწავლილ იქნა ზემოთ ხსენებული საავადმყოფოს შენობა. მოგახსენებთ რომ შენობა საკმაოდ მყარ და კონსტრუქციულად მდგრად მდგომარეობაშია, მით უმეტეს, რომ მას ახლახანს გაუკეთდა კაპიტალური სარემონტო და გამაგრების სამუშაოები. შენობის ფასადიდან მოიხსნა ანაკრები კონსტრუქციის შეკიდული პანელები, რითაც შენობა საგრძნობლად შემსუბუქდა.

აღსანიშნავია, რომ შენობას დაშენების სამუშაოები უკვე აქვს შესრულებული ჩვენი ფართის გამოკლებით ანალოგიური კონსტრუქციებით. ასე, რომ ჩვენი პროექტით დათვალისწინებული დაშენება ზედმეტ ტვირთად არ აწვება არსებულ საავადმყოფოს შენობას.

წინამდებარე პროექტის დამუშავებისას გათვალისწინებულია ი.მ ოთარ ბახტაძის მიერ შესრულებული საექსპერტო დასკვნა არსებულ შენობაზე სართულის დაშენების შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

დასკვნა: სათათბირო ოთახის მსუბუქი კონსტრუქციებით დაშენების სამუშაოების პროფესიონალურ დონეზე შესრულების შემთხვევაში საავადმყოფოს არსებული შენობის კონსტრუქციული მდგრადობა არ დაქვეითდება.

დირექტორი /ლ. თავხელიძე/